საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №131

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი, 2017 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№14, 21.11.2017) ამონაწერის და დეკანის, ვლადიმერ ღლონტის მოხსენებითი ბარათის (MES 5 17 01570159, 22.09.2017), განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№12, 18.12.2017) ამონაწერის და დეკანის, მადონა მიქელაძის მოხსენებითი ბარათის (MES 0 17 01566799, 21.12.2017), ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№1, 12.09.2017) ამონაწერის და დეკანის გიზო ფარცხალაძის მოხსენებითი ბარათის (MES 8 17 01572862, 22.12.2017), ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№5, 22.12.2017) ამონაწერის და დეკანის, გულად ფარტენაძის მოხსენებითი ბარათის (MES 0 17 01578057, 25.12.2017), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ქეთევან ბერიძის მოხსენებითი ბარათის (MES 9 17 01590359, 28.12.2017), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№12, 12.12.2017) ამონაწერის და დეკანის, მარინა ქორიძის მოხსენებითი ბარათის (MES 1 17 01588589, 27.12.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილებები ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

1) აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 თებერვლის №7 და 2016 წლის 9 აგვისტოს №69 დადგენილებებით დამტკიცებულ ფიზიკა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: „ვებ ინტერფეისის დეველოპერი“ (მე-3 საფეხური, **დანართი 1-ს შესაბამისად**), „ვებ ინტერფეისის დიზაინერი“ (მე-3 საფეხური, **დანართი 2-ს შესაბამისად**), „ვებ პროგრამისტი (**დანართი 3-ს შესაბამისად**) ;

2) აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 თებერვლის №7 დადგენილებით დამტკიცებულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: „პრაქტიკოსი ექთანი“ (მე-5 საფეხური,

დანართი 4-ს შესაბამისად); და „ფარმაცევტის თანაშემწე“ (მე-4 საფეხური, **დანართი 5-ს შესაბამისად**);

3) აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №69 დადგენილებით დამტკიცებულ განათლების ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ (**დანართი 6-ს შესაბამისად**);

4) აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №69 დადგენილებით დამტკიცებულ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიბლიოთეკარი“ (**დანართი 7-ს შესაბამისად**);

5) აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №69 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: „მეფუტკრე“ (**დანართი 8-ს შესაბამისად**), „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი“ (**დანართი 9-ს შესაბამისად**) და 2015 წლის 29 ივლისის №88 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტორ ტექნიკოსი“ (**დანართი 10-ს შესაბამისად**);

6) აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №52 დადგენილებით დამტკიცებულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბუღალტერ-ტექნიკოსი“ (**დანართი 11-ს შესაბამისად**).

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის №91 დადგენილება.

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაგზავნოს შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და შესაბამის საფაკულტეტო სამსახურებს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**